

ააიპ-ი ქ. ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების  
სპორტსმენებისათვის ოლიმპიური თამაშებისათვის მოსამზადებელი  
სპორტული გამაჯანსაღებელი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის  
ერთეტიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ.ქუთაისი

2016 წელი

# 1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.

1.2 სატენდერო წინადადების წარდგენისათვის უნდა იყოს დარეგისტრირებული სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით. შემდეგვალდებული ხართ გაეცნოთ აფიდავიტს და დაეთანხმოთ მას (გაცნობას და თანხმობას ადასტურებთ სისტემის მეშვეობით).

1.3 ამის შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.

1.4 სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით. ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს.

1.5 ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების დროებითი ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა ყოველ კონკრეტულ ტენდერში შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე.

1.6 ამ ინსტრუქციის 1.5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც ხდება ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა სისტემის გამოყენების გარეშე, ელექტრონული გარანტიის დედანი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შემსყიდველ ორგანიზაციას. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და შესაბამისად, ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.

1.7 ელექტრონული გარანტიის ოდენობა შეადგენს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს.

1.8 მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნულ ქმედებებს განახორციელებთ, თქვენ უფლება გაქვთ სისტემის მეშვეობით წარადგინოთ სატენდერო წინადადება.

1.9 სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.

1.10 ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.

1.11 ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

1.12 სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.

1.13 ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ბიჯზე არანაკლები ოდენობით.

1.14 ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.

1.15 დამატებითი რაუნდების თითოეულ რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და შესაბამისად, ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. რაუნდებში მონაწილეობის

მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.

1.16 დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში - კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა ასეთი ფასი.

1.17 მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

1.18 იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.

1.19 თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი მას განუსაზღვრავს არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის. დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი დაზუსტება, რომელიც გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას და მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე.

1.20 თუ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაცემი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით.

1.21 სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების სატენდერო განცხადებასთან და სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც სატენდერო დოკუმენტაცია არ შეიცავდა პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენის მოთხოვნას – სატენდერო კომისიის მიერ სატენდერო წინადადების სატენდერო განცხადებასთან და სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტს განუსაზღვრავს ვადას ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის წარმოსადგენად და ხელშეკრულების დასადასტურებლად არაუმეტეს 10 სამუშაო დღეს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის მოთხოვნა არ ხდება, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტს განუსაზღვრავს ვადას ხელშეკრულების დასადასტურებლად არაუმეტეს 5 სამუშაო დღეს. აღნიშნული ვადის გაგრძელება შესაძლებელია არა უმეტეს ხუთი სამუშაო დღით, მხოლოდ სატენდერო კომისიის დასაბუთებული ოქმის საფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება ობიექტური მიზეზები, რომელთა გამოც ვერ მოხერხდა ხელშეკრულების დადება დადგენილ ვადაში.

1.22 პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენისას; ბ) თუ პრეტენდენტი უარს აცხადებს მის მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებაზე; გ) თუ საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება (მათ შორის, ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების შემდეგ) სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს; დ) თუ გამარჯვებული პრეტენდენტი უარს განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან ვერ წარმოსადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას (ასეთი გარანტიის არსებობის შემთხვევაში) კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში; ე) პრეტენდენტის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებისას.

1.23 ამ ინსტრუქციის 1.22 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

1.24 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას, "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“, „რ“ და „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის შემდეგ ელექტრონული გარანტია უბრუნდება პრეტენდენტს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:  
ა) პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე; ბ) პრეტენდენტი შეყვანილია შავ სიაში შესაბამისი ტენდერის ჩატარების შედეგად; გ) პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში.

1.25 იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტიის პრეტენდენტისათვის დაბრუნება მოხდება ამ ინსტრუქციის 1.24 პუნქტით დადგენილი პირობების დარღვევით, პრეტენდენტი ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაუბრუნოს საგარანტიო თანხა შესაბამისი მოთხოვნისთანავე.

1.26 ელექტრონული ტენდერის შეწყვეტა:

ა) სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას. ბ) სატენდერო კომისიას უფლება აქვს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევებში ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, პრეტენდენტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.27 გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან ან ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.28 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

**1.29 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.**

1.30 ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.31 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება

## 2.საკვალიფიკაციო მოთხოვნა

2.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნა არ გამოიყენება

## 3.ტექნიკური დოკუმენტაცია

3.შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ააიპ-ი ქ.ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების სპორტსმენებისათვის 50(პერსონა)სპორტულ გამაჯანსაღებელი მომსახურების შესყიდვა, ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან არაუმეტეს 20 კმ-ის რადიუსში.

- ა) ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული მომსახურება უნდა განხორციელდეს ერთ შენობაში კომპლექსურად.
- ბ) გამაჯანსაღებელი ცენტრი აღჭურვილი უნდა იყოს თანამედროვე სტანდარტით,კერძოდ, თანამედროვე აპარატებით,კონდიციონერითა და გათბობის სისტემებით,გასახდლებით და საშხაპეებით ,დაცული უნდა იყოს სანიტარული და ჰიგიენური ნორმები.

3.1.1. მიმწოდებელი“ ვალდებულია ააიპ ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების სპორტსმენებისათვის სპორტული გამაჯანსაღებელი მომსახურება განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ეტაპობრივად შემსყიდველთან შეთანხმებით, მოთხოვნის შესაბამისად. **(შენიშვნა: მომსახურების სრული აღწერა იხილეთ ფასების ცხრილში)**

3.2 პრეტენდენტის მიერ სისტემაში ტექნიკური დოკუმენტაციის სახით ატვირთული უნდა იყოს:

- ა) პრეტენდენტის შეთავაზება დანართი N1-ის მიხედვით,
- ბ) ფასების ცხრილი დანართი N2-ის მიხედვით. 9 (ცხრა) ფურცელი

3.3 პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

3.4 ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვროს: გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – არანაკლებ 120 კალენდარული დღით ტენდერისათვის სტატუსის „წინადადების მიღება დაწყებულია“ მინიჭების თარიღის შემდეგ.

3.5 ფასები და ანგარიშსწორების პირობები:

3.5.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

3.5.2 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად (ყოველთვიურად), უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების მიხედვით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღეში.

3.5.3 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

3.6 სხვა მოთხოვნები:



3.6.1 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, შესაძლებელია დასაბუთდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებ

ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას (დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნას მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში).

3.7 ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

3.7.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა ერთი თვით აღემატება მომსახურების გაწევის დასრულების ვადას.

ტექნიკური დავალება

## 4. დამატებითი ინფორმაცია:

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტების ან/და დაზუსტების მიღება პრეტენდენტს შეუძლია წერილობითი მომართვის შემთხვევაში შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, წმინდა ნინოს ქN9 საკონტაქტო პირი: ნინო გაჩეჩილაძე 597 67 67 60, 0 (431) 255999

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

---

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

---

ქ.ქუთაისი

2016 წელი

ერთის მხრივ, ააიპ ქ. ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება (შემდგომში „შემსყიდველი“) მისი მმართველის მ/შ ნინო უჩაძის სახით (მისამართი: 4600, ქ. ქუთაისი, წმინდა ნინოს ქN9, ტელ: 25 59 99). მეორეს მხრივ \_\_\_\_\_, (შემდგომში „მიწოდებელი“) წარმოდგენილიმისი დირექტორის \_\_\_\_\_სახით,(მისამართი: \_\_\_\_\_), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, ერთეულებიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომში – “ხელშეკრულება”) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა



დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. “ხელშეკრულების ღირებულება” - ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომში “შემსყიდველი”) - ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. “მომწოდებელი” - ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” - ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6 „მომსახურება“- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი

1.7 „ტექნიკური დავალება“ – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

## 2. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ააიპ ქ. ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების სპორტსმენებისათვის სპორტულ გამაჯანსაღებელი მომსახურების შესყიდვა

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

2.3 კლასიფიკატორის კოდი –98330000

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს \_\_\_\_\_ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

## 4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ააიპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების მიერ.

4.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“, კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი“.

4.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

## 5. მომსახურების გაწევის ვადები

5.1 მიმწოდებელი“ ვალდებულია მომსახურების გაწევა განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს მომსახურების პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ეტაპობრივად (ყოველთვიურად).

6.2 „შემსყიდველი“-ს მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის დადასტურების შემდეგ.

6.3 ფაქტიურად შესყიდვის ობიექტის მიღების დამტკიცებას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.

#### 7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად (ყოველთვიურად), „მიმწოდებლის“ წერილობითი მომართვის საფუძველზე.

7.2 „მიმწოდებლის“ წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

- ა) ფაქტიურად გაწეული მომსახურების დასახელება და ღირებულება,
- ბ) გაწეულ მომსახურების შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტი,
- გ) გაწეული მომსახურების შესაბამისად ამოწერილი დღგ-ს ანგარიშფაქტურა.

7.3. გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

7.4 ანგარიშსწორება განხორციელდება სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 20 (ოცი)სამუშაო დღის განმავლობაში.

#### 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანოზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

#### 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს გონივრულ ვადაში მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

#### 10. მხარეთა უფლება-მოვალეობები

10.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

– გასაწევი მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს „მიმწოდებლისგან“ მისთვის საჭირო ინფორმაცია

10.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

– უზრუნველყოს „მიმწოდებლი“-ს მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება



ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

10.3 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

– მოსთხოვოს „შემსყიდველს“ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

10.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

– დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

## 11. ხელშეკრულების პირობების

### შეუსრულებლობა

11.1 დაუძლეველი ძალის გარდა, „მიმწოდებელი“-ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 30% (ოცდაათი)-ის ოდენობით.

11.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან დაგვიანებით/არაჯეროვნად შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

11.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

11.4 ამ ხელშეკრულების 11.3 და 12.1 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეს რომელმაც არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 50% (ორმოცდაათი)-ის ოდენობით მეორე მხარის სასარგებლოდ.

11.5 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, „მიმწოდებელი“-ს დაჯარიმების შემთხვევაში, „შემსყიდველი“ იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

11.6 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

## 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყოვნებლივ.

12.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

## 13. დაუძლეველი ძალა

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

13.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს,

იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

#### 14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

#### 15. გადასახადები და დაბეგვრა

15.1 ადგილობრივი „მომწოდებელი“ პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

#### 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება ძალაშია ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი „მომწოდებელთან“ და 2 (ორი) პირი „შემსყიდველთან“.

#### 17. მხარეთარეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

ააიპ ქ.ქუთაისის სპორტულ  
დაწესებულებათა გაერთიანება  
მის: ქ. ქუთაისი, წმინდა ნინოს ქ#9  
მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში  
ქ.თბილისი „სახელმწიფო ხაზინა“  
ბ/კოდი: TRESGE22  
ს/კოდი: 050102  
გაერთიანების მმართველის  
მოვალეობის შემსრულებელი

-----  
ნინო უჩაძე

მომწოდებელი:

პრეტენდენტის შეთავაზება

1	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	
	ხელმძღვანელის თანამდებობა, სახელი და გვარი:	
	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
	საიდენტიფიკაციო კოდი:	
	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	
	ელექტრონული მისამართი	
	ბანკი:	
	ბანკის კოდი:	
	ანგარიშის ნომერი:	
2	სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების საბოლოო ფასი:	

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) \_

ფასების ცხრილი

N1	მომსახურების დასახელება	შედევობრივი მახასიათებელი	შესასრულებელი მომსახურების დრო.საათი,წუთი.პროცედურა.	ერთი პროცედურა (50 წთ) ღირებულება	საერთო ღირებულება
1	ხერხემლის წყალქვეშა ჰორიზონტალური ტრაქცია (დაჭიმვა) წყალში (მტკნარი ან რადონის) აპარატის მეშვეობით	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ოპტიმალური კუნთოვანი რელაქსაცია,</li> <li>2. ფიზიოლოგიური დეკომპრესიის ეფექტი</li> <li>3. ძლიერი ანალგეზიური ეფექტი</li> <li>4. პროპორციული დაჭიმვის ეფექტი</li> <li>5. ანტისპოლიოზური ეფექტი</li> <li>6. რეგენერაციული ეფექტი, ქსოვილის სტრუქტურისა და ფუნქციის აღდგენა</li> </ol>	4000 წუთი		

N2	მომსახურების დასახელება	შედეგობრივი მაჩასიათებელი	შესასრულებელი მომსახურების დრო.საათი,წუთი.პროცედურა.	ერთი პროცედურა (20 წთ) ღირებულ ება	საერთო ღირებულება
2	წყალქვეშა მასაჟი (ჰიდრომასაჟი) აქტიური მასაჟი წყლის ჭავლით სავსე აბაზანაში (მტკნარი ან რადონის) რეგულირებადი წნევისა და ტემპერატურის კონტროლით. მომსახურება აპარატის მეშვეობით.	1.კუნთებისა და კანის ტონუსის აღდგენა 2. მოძრაობის აღმდგენის ფუნქციის აჩქარება კიდურებისა და ხერხემალში 3. ტრამვების შემდგომი შეშუპების შემცირება	6000 წუთი		
N 3	მომსახურების დასახელება	შედეგობრივი მაჩასიათებელი	შესასრულებელი მომსახურების დრო.საათი,წუთი.პროცედურა.	ერთი პროცედურა (15წთ) ღირებულება	საერთო ღირებულება
3	აქტიური მასაჟი წყლის ჭავლით წნევის ქვეშ მომსახურება აპარატის მეშვეობით	1. სისხლის და ლიმფის გაუმჯობესება 2. ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება 3. ორგანიზმის ტონუსის ამაღლება 4. კუნთების სპაზმის გადაღლის მოხსნა 5. სტრესის მოხსნა	2250 წუთი		

№ 4	მომსახურების დასახელება	შედეგობრივი მახასიათებელი	შესასრულებელი მომსახურების დრო.საათი,წუთი.პროცედურა.	ერთი პროცედურა (20 წთ) ღირებულება	საერთო ღირებულება
4	ცირკულარული შხაპი-ს აპარატით წყლის წვრილი ნაკადით ზემოქმედება ორგანიზმზე	1.ორგანიზმის ფიზიკური აქტივობის გაზრდა. 2. ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესება 3. სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესება	1500 წუთი		
№ 5	მომსახურების დასახელება	შედეგობრივი მახასიათებელი	შესასრულებელი მომსახურების დრო.საათი,წუთი.პროცედურა.	ერთი პროცედურა ღირებულება	საერთო ღირებულება
5	აუზი-სამკურნალო ფიზიკულტურა წყალში(მტკნარი ან რადონის)წყლით ინსტრუქტორის მომსახურებით.		130 პროცედურა		
№6	მომსახურების დასახელება	შედეგობრივი მახასიათებელი	შესასრულებელი მომსახურების დრო.საათი,წუთი.პროცედურა.	ერთი პროცედურა (20 წთ) ღირებულება	საერთო ღირებულება
6	დინამიური ტალღის მომსახურება შესაბამისი აპარატით.	უჯრედების შიგნით და გარეთ დაგროვილი სითხის მოძრაობა რაც, თავის მხრივ აძლიერებს სისხლის მიმოქცევას და ხელს უწყობს უჯრედიდან ტოქსინების	1000 წუთი		

		გამოდენას.			
--	--	------------	--	--	--

გაგრძელება იხილეთ



№7	მომსახურების დასახელება	შედეგობრივი მახასიათებელი	შესასრულებელი მომსახურების დრო.საათი,წუთ ი.პ როცედურა.	ერთი პროცედურ ა (30 წთ) ღირებულე ბა	საერთო ღირებულე
----	-------------------------	------------------------------	---	---	--------------------

7	პრესოთერაპიის აპარატის მომსახურება.	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ცელულიტის პრევენცია</li> <li>2. შეშუპების შემცირება</li> <li>3. ფეხების, მკლავების, მ უცლის და ძეძოების ფორმების დახვეწა</li> <li>4. ეპიდერმისის გაძლიერება</li> <li>5. ფეხებისათვის სიმსუბუქის მინიჭება</li> <li>6. სისხლის მიმოქცევის გაძლიერება</li> <li>7. ჯანგბადის მიმოქცევის გაძლიერება</li> <li>8. ტოქსინების გამოყვანა და სწორი უჯრედული მეტაბოლიზმის შექმნა</li> <li>9. კუნთების, სახსრების ატონიზირება, კუნთის სპაზმების მოხსნა</li> <li>10. კანის სისხლის მიმოქცევის გაძლიერება, სოვილე ბის კვება და უჯრედის რეგენერაცია</li> </ol>	1500 წუთი		
---	-------------------------------------	---	-----------	--	--

№8	მომსახურების დასახელება	შედეგობრივი მახასიათებელი	შესასრულებელი მომსახურების დრო.საათი,წუთი.პროცედურა.	ერთი პროცედურის ღირებულება	საერთო ღირებულება
8	აღდგენითი მასაჟი (რეპარაციული)		10 პროცედურა		
№9	მომსახურების დასახელება	შედეგობრივი მახასიათებელი	შესასრულებელი მომსახურების დრო.საათი,წუთი.პროცედურა.	ერთი კონსულტაციის ღირებულება	საერთო ღირებულება
9	კარდიოლოგის მომსახურება (ელექტრო კარდ.გადაღებით)		25 კონსულტაცია		

№10		საჭირო ტრენაჟორების ჩამონათვალი	შესასრულებელი მომსახურების დრო.საათი,წუთი.პროცედურა.	ერთი საათის ღირებულება	საერთო ღირებულება
10	<p>სატრენაჟორო დარბაზით მომსახურება შემდეგი სახის დანადგარებით:</p> <p>პასიური მეთვალყურეობით.</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1.კომპლექსური სავარჯიშო ტრენაჟორით</li> <li>2.სარბენი ბილიკით</li> <li>3. ელიოპტიკური ველოთხილამური</li> <li>4. ფეხის კუნთების ტრენაჟორი</li> <li>5. ფეხის შიგა მხარის კუნთების სავარჯიშო ტრენაჟორი</li> <li>6. ზურგისა და ზემო კიდურების მუცლის პრესის სავარჯიშო ტრენაჟორი</li> <li>7. რომაული სკამი( მუცლის პრესის ზურგის კუნთების ტრენაჟორი)</li> <li>8. ზედა კიდურების მხრის სარტყლის, ზურგის კუნთების მუცლის პრესის სავარჯიშო კომპლექსური ტრენაჟორი</li> <li>9. სკოტის სკამი</li> <li>10. გრეხილი ღერძი 12 კგ იანი</li> <li>11. სიმძიმის ასაწევი საწოლი სკამი</li> <li>12. ოლიმპიური ღერძი 20 კგ-იანი</li> <li>13. კომპლექსური რეგულირებადი სკამი</li> <li>14. მუცლის პრესის სავარჯიშო სკამი</li> <li>15. მუცლის პრესის სავარჯიშო ტრენაჟორი</li> <li>16. ბარმაყის ოთხთავა კუნთის სავარჯიშო ტრენაჟორი</li> <li>17. იოგას სავარჯიშო ლეიბი</li> <li>18. განტელების კომპლექსი 1-5 კგიანი კომპლექსი</li> <li>19. ხის შვედური კედელი</li> <li>20. განტელების</li> </ol>	600 საათი		

		კომპლექტი 5-25 კგ  21. ოლიმპიური ბლინები 22. წელის ქამარი ჯაჭვით და საკიდით 23. სტეპი 24. სამედიცინო სასწორი  25. ველოსიპედი ქალაქის ტიპის. 26. ველოსიპედი ,ქალაქის ტიპის.			
--	--	---	--	--	--

მომსახურების გაწევის ადგილი (მისამართი) -----

მომსახურების გაწევის პერიოდი -----

პრეტენდენტის ხელმოწერა----- ბეჭედი (არსებობის შემთხვევაში)

